საგნობრივი კათედრები

საგნობრივი კათედრების მუშაობის ანალიზი

კათედრების მუშაობის წინაპირობა:

კათედრის წევრებს შორის არის კოლოეგიალური თანამშრომლობითი ურთიერთობა, სწრაფვა სიახლეების გაცნობასა და დანერგვისთვის. კათედრის წევრები მონაწილეობდნენ მასწავლებლის კონფერენციებში, გამოცდილება დაიბეჭდა გაზეთ „ახალ განათლებაში“ (202-2021 წწ). მასწავლებელი მ.ზოიძე ოლიმპიადებსა და კონკურსებში მოსწავლეთა მონაწილეობის მიღწეული დონის გამო დაჯილდოვდა აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჯილდოთო. თავიანთ გამოიცდილებას უზიარებენ უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებს.

გასულ წელს კათედრის სხდომები მიმდინარეობდა ონლაინ კონფერენციითა და სააუდიტორიო შეხვედრებით. ძირითადი აქცენტი გადადტანილი იყოი ონლაინ პლატფორმით სწავლების ხარისხის ამაღლებაზე.

სკოლის 8 წამყვგან მასწავლებელს შეემატა ორი წამყვანი და ორი უფროსი მასწავლებელი. ზაფხულის არდადეგების პერიოდში 6-მა მასწავლებელმა გაიარა ტრენინგი. ტრენინგზე გავლა გრძელდება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის მუსაობა გასულ სასწავლო წელს დაიწყო. სისტემატურად ეცნობოდნენ „ახალი სკოლის მოდელის“ პილოტირების მიმდინარეობას. ჰქონდათ შეხვედრები პილოტირებაში ჩართულ მასწავლებლებთან. შეიძლება ითქვას, რომ ახალი სასწავლო წლისთვის სწავლება/სწავლის უკეთესი გზების ძიებისა და განვითარებისთვის, განწყობისა და თვიტეფექტურობის ხარისხი ქმნის მოლოდინს იმისა, რომ გაუმკვლავდებით ახალ გამოწვევებს.

კათედრის წევრმა მასწავლებლებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს კოლეგებს მასწავლებელთა კონფერენციაზე. გამოქვეყნდა სტატიები. მასწავლებელბი გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვედრა-დიალოგებს მართავენ უნივერსიტეტის სტუდენტებთან, პროფესორ მასწავლებლებთან. ეფექტური გამოდგა ურთიერთპატივისცემისა და დაფასების განწყობა შექმნა გაწეული საქმიანობის ანგარიშების პრეზენტაციის სახით წარმოდგენამ.

კათედრების სამუშაო პირობები

შეიქმნა მასწავლებელთა კომპიუტერული ტექნიკით, ქსეროქსით, სითბოთი და განათლებით კომფორტული სამუშაო ოფისები: დაწყებითი კლასის კათედრისთვის II კორპუსის I სართულზე, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრისთვის I კორპუსის I სართულზე, საზოგადოებროივი მეცნიერების კათედრისთვის I კორპუსის II სართულზე, დანარჩენი კათედრები იყენებენ „მასწვლებლის სამუშაო ოფისებს“ I სართულზე. მიმდინარეობს მუშაობა სამი კათედრისთვის ცალკე ოთახის გამოსაყოფად.

კათედრების მუშაობის ძლიერი მხარეები

კათედრებმა მესამე თაობის ე.ს.გ დანერგვისთვის ორგანიზებული მუშაობა დაიწყეს 25 აგვისტოდან. მომზადდა და ჩატარდა შეხვედრები თემაზე:

ა)"სტატიები ახალი სკოლის მოდელთან დაკავშირებით (თ.ჯაყელი, ნ. სილაგაძე, მ.ჩიქობავა, ი.აფთარაშვილი და სხვები)".

ბ)ახალი სკოლის მოდელის პილოტირების კვლევის შედეგები;

გ) ინტერნეტ რესურსები სკოლის ახალ მოდელთან დაკავშირებით;

დ) საგნობრივი გზამკვლევები;

ე)ონლაინ შეხვედრების ჩანაწერების განხილვა.

მუშაობა მიზანმიმართული გახდა კონსოლიდირებული ეროვნული სასწავლო გეგმის წვდომის შემდეგ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პრეზენტაციები „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხთან დაკავშირებით. ზოგადი ნაწილის ყველა ძირითადი საკითხი გაცნობიერებულ იქნა (ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, საგანმანათლებლო პრინციპები, გამჭოლი კომპეტენციებინ და თამატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალება და სხვა).

ჩატარდა მეთოდური შეხვედრები გამოცდილების გაზიარების მიზნით, ონლაინ პლატფორმაზე სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით: ა)პროექტი „კარგი სკოლა"- საიტზე განლაგებული ელექტრონული რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში; ბ) ტელეგაკვეთილების გამოყენება სასწავლო გეგმის დაძლევის უკეთესი შედეგისთვის; გ) სწავლებისა და სწავლის ახალი მეთოდები.

მენტორმა მასწავლებელმა უნივერსიტეტის პროფესორმა ხ.ხალვაშმა დაიწყო ტრენინგების სერია თემაზე: „ციფრული ინსტრუმენმტები სწავლის ხარისხის ამაღლებისთვის".

ყველა კათედრამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. გააცნობიერეს ახალი გამოწვევის სირთულე და შექმნეს მესამე თაობის ე.ს.გ დანერგვის ხელშემწყობი ჯგუფები კათედრის მიხედვით და აირჩიეს სიტუაციური ლიდერი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს სწავლებ- სწავლის ხარისხზე პასუხისმგებელ პირთან და დირექციასთან თანამშრომლობით, აღსანიშნავია რესურსცენტრის ხელმძღვანელის ჩართულობა, ახალი ლიტერატურისა და გზამკვლევის მისაწვდომობა.

მოკლე დროში კათედრებმა, ლიდერებმა შეძლეს საგნობრივი თემატური მატრიცების შედგენა თითქმის ყველა საგანში. მოდიფიცირებულ იქნა არსებული ფორმები და შემუშავდა ახალი ფორმებიც. საგნის მასწავლებლებმა გამოიყენეს მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. შემუშავდა კომპლექსური დავალების ფორმები. აზღსანიშნავია მასწავლებლების მ. ზოიძის, ნ. ბერიძის, ნ. გოგიჩაიშვილის, ნ. ქათამაძის, **მ. დიასამიძის,** ი. დავითაძის, მიერ შედგენილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც გაზიარებულ იქნება კოლეგების მიერ.თითქმის ყველა შემაჯამებელი დავალებისას გამოიყენეს, მღწეული შეაფასეს თვითშეფასებით, სადაც აღნიშნეს, რა გამოუვიდათ კარგად, რას ვერ მიაღწიეს და როგორ გეგმავენ გაუმჯობესებას. ორიგინალური და სასარგებლო გამოდგა შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ახალი ფორმა, რომელიც მოიცავს მახასიათებლებს შეფასების

პრინციპების მიხედვით, ინდიკატორებს, შეფასების დონეებს, რეკომენდაციებს. ფორმა წარმოადგენს ბატონ კ.ერაძის მიერ შემუშავებული მოდელის მოდიფიკაციას.

სუსტი მხარეები

თემატური მატრიცების მოსწვალეთა საჭიროებაზე მორგებული ორიგინალური ფორმების შემუშავება ყველა საგნების მიხედვით

ელექტრონული ჟურნალის წარმოების შესახებ მწირი ცოდნა, კომპლექსური დავალების შედგენა ე.ს.გ მოთხოვნასა და მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით.

სუსტი მხარის დასაძლევი განმავითარებელი ღონისძიებები

- თემატური მატრიცების გამოყენების შედეგების განხილვა I სემესტრის შემდეგ და კონკრეტული საქმიანობის დაგეგმვა უკეთესი შედეგისთვის;
- კომპლექსური დავალების მიმართებით ტრენინგავლილ მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარების გრაფიკის შედგენა;
- თვითანალიზის მიხედვით კომპლექსური დავალების გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება სკოლის დონეზე;
- განახლებულ ტრენინგებში დარეგისტრირება;
- პირდაპირ კონსუკლტაციები რეფორმის განმახორციელებელ პროფესიონალებთან;
- კომპლექსური დავალების შესრულებაში მშობელთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება.
- ელექრრონული ჟურნალის წარმოებაზე დაინიშნება ტრენინგები, რეკომენდაციები
- სასკოლო და სასწავლო პროექტების შედგენისა და განხორციელების გაგრძელება, კათედრების ანალიზის შედგენაში მონაწილეობა.

სუსტი მხარის დასაძლევად დეკემბრიდან დაგეგმილია ტრენინგები, ყველა მასწავლებლისათვის ტრენინგების ორგანიზებას ანხორციელებს შუახევის მუნიციპალიტეტის სკოლების კოორდინატორი ტრენერი როინ დიასამიძე.

სუსტი მხარის დაძლევის პრობლემებზე მუშაობენ სიტუაციური ლიდერები ი. დავითაძე, ნ. გოგიჩაიშვილი, მ. ზოიძე. შესრულების პირველი შედეგები თებერვლის დასაწყისში წარმოდგება.

საგნობრივი კათედრები

(საფუძველი ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 20)

სკოლაში მოქმედებს შემდეგი საგნობრივი კათედრები:

- დაწყებითი კლასების საგნობრივი კათედრა (თავმჯდომარე ცირა დუმბაძე);
- ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კათედრა (თავმჯდომარე თალიკო მიქელაძე);
- მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა (თავმჯდომარე გივი ჭუმბურიძე, უფროსი მასწავლებელი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი)
- უცხო ენის კათედრა(თავმჯდომარე წამყვანი მასწავლებელი ჯ.აბაშიძე);
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა (თავმჯდომარე ნაილა ჩელებაძე, უფროსი მასწავლებელი, ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.);
- ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა (თავმჯდომარე პროფესორი, მენტორი მასწავლებელი ნ.შუშანიძე).